ქ. თბილისი 31 დეკემბერი 2019 წ.

1. ხელშეკრულების მხარეები

1.1. ერთი მხრივ, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო (შემდგომში - „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის მოადგილის ლევან გოგოძის სახით და მეორე მხრივ, შპს ,,მიკრონეტ” (შემდგომში - „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ციკოლიას სახით (ორივე ერთად წოდებული - „მხარეებად“), ვხელმძღვანელობთ რა, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტითა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესით“, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2019 წლის 30 დეკემბრის N5368 განკარგულების გათვალისწინებით (SMP190005166), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების მიხედვით „მიმწოდებელი“ უზრუნველყოფს „შემსყიდველის“ მიერ მითითებული მისამართების TCP/IP შეერთებას და სხვა თანმდევი მომსახურების გაწევას (შემდგომში - „მომსახურება“ ან „შესყიდვის ობიექტი“ CPV-72400000) „მომსახურების“ დასახელება და აღწერა (TCP/IP არხების (შემდგომში „არხები“) რაოდენობა, არხის სიჩქარე და მომსახურების სახეები) მითითებულია დანართ N1-ში.

2.2 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ფარგლებში, საჭიროების შემთხვევაში, „მიმწოდებელი“ უზრუნველყოფს „შემსყიდველის“ მიერ მითითებულ და წინამდებარე ხელშეკრულების დანართ N1-ში მოცემულ „შემსყიდველის“ ოფისების ტერიტორიაზე მიმწოდებელის კუთვნილი საჭირო აპარატურის მონტაჟს.

2.3 „შემსყიდველი“ უზრუნველყოფს მიმწოდებელის მიერ აღნიშნული ხელშეკრულების შესასრულებლად საჭირო აპარატურისთვის ფართის გამოყოფას, აპარატურის მონტაჟის ადგილებზე უწყვეტი ელექტროენერგიით მომარაგებას და კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჭირო ნებართვის გაცემას.

2.4 „მიმწოდებელის“ მიერ მის საკუთრებაში არსებული აპარატურის, „შემსყიდველისათვის“ მიწოდება/დამონტაჟების შემთხვევაში, ხელშეკრულების ვადის გასვლისას ან მისი ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, უბრუნდება „მიმწოდებელს“, თუ მხარეები ხელშეკრულების ამ პუნქტისაგან განსხვავებულ პირობაზე არ შეთანხმდნენ.

2.5. მხარეები თავისუფლდებიან ამ მუხლის 2.2. პუნქტით, აგრეთვე მე-3 მუხლის 3.2.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობის შესრულებისაგან, იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებამდე მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების ფარგლებში „მიმწოდებელს“ „შემსყიდველისათვის“ მიწოდებული და დამონტაჟებული აქვს საჭირო აპარატურა, რომლის რაოდენობა, მახასიათებლები და ა.შ. საკმარისია წინამდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გასაწევად.

2.6 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული არსებული არხების მიხედვით მისამართები მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართ N1-ში.

3. მხარეთა უფლება-ვალდებულებანი

3.1 **„შემსყიდველი” ვალდებულია:**

3.1.1 საკუთარი და/ან მასთან გათანაბრებული ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოს მე-2 მუხლში აღნიშნული კავშირის ინტერფეისი „მიმწოდებელის” აპარატურასთან. თუ ამ დროს ან შემდგომში დადგინდა, რომ „შემსყიდველის“ მიზეზით დაზიანდა „მიმწოდებელის“ აპარატურა, „შემსყიდველი“ ვალდებულია აუნაზღაუროს „მიმწოდებელს” მიყენებული ზიანი.

3.1.2 არხით სარგებლობისას და აპარატურის განთავსებისას მკაცრად დაიცვას მწარმოებლის მიერ დადგენილი აპარატურის ექსპლუატაციის ტექნიკური ნორმები, რომელიც „შემსყიდველს“ გადაეცემა „მიმწოდებელის“ მიერ აპარატურის დამონტაჟების დროს, თუ მხარეები ხელშეკრულების ამ პუნქტისაგან განსხვავებულ წესზე არ შეთანხმდნენ.

3.1.3 ხელი შეუწყოს და საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში დახმარება აღმოუჩინოს „მიმწოდებელს“ ქსელის (TCP/IP არხების) მშენებლობის პროცესში.

3.1.4 განახორციელოს „მიმწოდებელის“ მიერ „შემსყიდველისათვის“ გადაცემული აპარატურის მოვლა და დაცვა.

3.1.5 წინასწარ, ერთი თვით ადრე, წერილობით შეატყობინოს „მიმწოდებელს“ კონკრეტული არხის მიხედვით მისამართის ადგილმდებარეობის შეცვლის შესახებ.

3.1.6 დროულად აწარმოოს ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან“.

3.1.7 ნებისმიერ დროს დაუშვას და მისცეს საშუალება „მიმწოდებელის“ უფლებამოსილ თანამშრომლებს განახორციელონ „შემსყიდველის“ მიერ მითითებულ მისამართზე დამონტაჟებული აპარატურის გეგმიური პროფილაქტიკური რემონტი თუ სხვა სამუშაოები, რომლის ჩატარების დრო და ადგილი წინასწარ მინიმუმ 1 (ერთი) სამუშაო დღით ადრე უნდა იყოს შეთანხმებული „შემსყიდველთან“.

3.1.8. არ დაუშვას, რომ „შემსყიდველის“ თანამშრომლებმა შეცვალონ ან სხვაგვარად მოახდინონ პარამეტრების მოდიფიცირება „მიმწოდებელის“ აპარატურაზე წინასწარი შეტყობინების და ამ უკანასკნელის წარმომადგენელების თანდასწრების გარეშე.

3.1.9. ზედმიწევნით დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

3.2 **„მიმწოდებელი“ ვალდებულია:**

3.2.1 უზრუნველყოს თავისი ტექნიკური საშუალებების გამართულ მდგომარეობაში ყოფნა და დროულად აღმოფხვრას შეფერხებები.

3.2.2 გადასცეს „შემსყიდველს“ კავშირის უზრუნველსაყოფად საჭირო აპარატურა. თითოეული აღნიშნული აპარატურის გადაცემისას/მონტაჟისას თუ დემონტაჟისას მხარეებს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

3.2.3 უზრუნველყოს N1 დანართში ჩამოთვლილი მომსახურებებით უზრუნველყოფა დანართ N2-ში მითითებული ტარიფებით, ასევე არხების მიმართულებებით შემსყიდველის ოფისებს შორის კავშირი და მისცეს საშუალება „შემსყიდველს“ უზრუნველყოს „მიმწოდებელის“ აპარატურის ინტერფეისი საკუთარ აპარატურასთან.

3.2.4 აპარატურისა და მოწყობილობების „შემსყიდველის“ მიერ მითითებულ მისამართზე განთავსებისას გაითვალისწინოს განთავსების ადგილისა და პირობების შესაბამისობა მათი მწარმოებლის მიერ დადგენილ ექსპლუატაციის ტექნიკურ ნორმებთან, ისევე როგორც უზრუნველყოს არხების შესაბამისობა ტექნიკურ ნორმებთან და პარამეტრებთან ხელშეკრულების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში.
3.2.5 არხების ჩართვა განახორციელოს მხარეთა შეთანხმებით. ხოლო ყოველი დამატებითი არხის ჩართვა განხორციელდება მხარეთა შორის ურთიერთშეთანხმებით.
3.2.6 წინამდებარე ხელშეკრულების 3.1.5 პუნქტის მიხედვით მიღებული შეტყობინების საფუძველზე მოახდინოს კონკრეტული წერტილის დემონტაჟი და მისი ხელახალი მონტაჟი „შემსყიდველის“ მიერ მითითებულ ადგილას დანართ N2-ში მითიებული ტარიფის შესაბამისად.
3.2.7 წინასწარ, ერთი სამუშაო დღით ადრე შეატყობინოს შემსყიდველს ქსელზე ტექნიკური ან რაიმე სხვა სახის სამუშაოს ჩატარების შესახებ.
3.2.8 აწარმოოს ქსელის მუდმივი მონიტორინგი პრობლემების წინასწარ გამოვლენის და ქსელის და აპარატურის გამართული ფუნქციონირების მიზნით.
3.2.9. ზედმიწევნით დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
3.3. “შემსყიდველი” უფლებამოსილია:
3.3.1. აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.
3.3.2. მოითხოვოს ხელშეკრულების პირობების შესრულება.
3.4. „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:
3.4.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება და მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
3.4.2. შეაჩეროს ან/და გადაავადოს „შემსყიდველის“ მიერ მითითებულ მისამართზე აპარატურის მონტაჟი, ისევე როგორც არ მოახდინოს მომსახურების მიწოდება იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ მისამართზე ტექნიკურად შეუძლებელია კავშირის უზრუნველყოფა ან თუ „შემსყიდველის“ მიერ არ შესრულდა 2.3 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებები.

4. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები

4.1 წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად გაწეული მომსახურებების ჯამური ღირებულება, 2020 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 15 იანვრის ჩათვლით, შეადგენს 4 690,5 (ოთხი ათას ექვსას ოთხმოცდაათი ლარი და 50 თეთრი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.
4.2. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.
4.3. მომსახურების უზრუნველყოფის საფასურს, დანართებში მითითებული არხების მიმართულებების და ფასების მიხედვით, “შემსყიდველი” გადაუხდის „მიმწოდებელს“, ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების შესაბამისად.
4.4. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული „მიღება–ჩაბარების“ აქტი და წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.
4.5. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება 4.4. პუნქტით გათვალისწინებული პირობების დასრულების შემდეგ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.
4.6. „მიღება-ჩაბარების“ აქტის და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გარეშე არ მოხდება თანხის გადახდა.

5. ხელშეკრულების მოქმედების და მომსახურების ვადა

5.1. ხელშეკრულება ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვრიდან და მოქმედებს 2020 წლის 29 თებერვლის ჩათვლით.
5.2. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად მომსახურების მიწოდება განხორციელდება 2020 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 15 იანვრის ჩათვლით.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 ოპერატორი არ არის პასუხისმგებელი დამკვეთისათვის ან მესამე პირებისათვის მიყენებულ და შესაძლო ზიანზე, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, გარდა განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანისა, ისევე როგორც ოპერატორი არ არის პასუხისმგებელი დამკვეთისთვის ან მესამე პირებისათვის მიყენებულ არაპირდაპირ ზიანზე, მათ შორის, წარმოების ან საქმიანობის შეჩერებაზე, მონაცემთა დაკარგვის, მიუღებელი სარგებლის ან ნაყოფის, ან სხვა არაპირდაპირი დანაკარგისათვის ან მათი შედეგებისათვის.
6.2 გადახდის ვადების დარღვევის შემთხვევაში, „მხარეებს“, მოთხოვნის შემთხვევაში, ყოველ ვადაგადაცილებულ დაეკისრებათ პირგასამტეხლო მიუწოდებელი მომსახურების ან დავალიანებული თანხის თანხის 0,02%-ის ოდენობით.
6.3 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან, თუ მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეული იყო ფორს-მაჟორული გარემოებების გამო. ასეთ შემთხვევაში, მხარეები სამი დღის ვადაში აცნობებენ ერთმანეთს ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზებს და მათი შესრულების მოსალოდნელ თარიღს. რის შემდეგაც ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეიძლება გადაიდოს ფორს-მაჟორის გაგრძელების ვადით ან ხელშეკრულება მოიშალოს მხარეთა შეთანხმებით.

7. ფორს-მაჟორი

7.1. ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარ ი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ (ნაწილობრივ) შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წარმოშობაზე ხელშეკრულების მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ ხელშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდათ.
7.2. გადაულახავ ძალად ჩაითვლება შემდეგი (და არა მხოლოდ):
7.2.1. სტიქიური უბედურებანი (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, შტორმი და სხვა);
7.2.2. გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომი, სამოქალაქო არეულობა, ნებისმიერი სახის საომარი მოქმედებები, საგანგებო მდგომარეობა;
7.2.3. ეპიდემიები;
7.2.4. ბლოკადა ან ნებისმიერი ეკონომიკური ემბარგო, ან საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით.
7.2.5. ხელისუფლების ნებისმიერი ერთეულის ან ხელისუფლების მიერ საამისოდ კომპეტენტურად განსაზღვრული ორგანოს გადაწყვეტილება ან ისეთი ნორმატიული აქტის გამოცემა, რომელიც ზემოქმედებს მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და/ან ცვლის, წყვეტს ან აჩერებს ხელშეკრულების დებულებებსა და პირობებს.
7.3. ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ.

7.4. ფორს-მაჟორული მოვლენების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებით (ტელეფონი, ფოსტა, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა).
7.5. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა ავტომატურად არ იწვევს ხელშეკრულების გაუქმებას. მხარეები ვალდებულნი არიან განსაზღვრონ წინამდებარე ხელშეკრულების ფორს-მაჟორულ მოვლენებთან მისადაგების საკითხი.
7.6. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.
7.7. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ვალდებულებების შესრულების პერიოდი შეჩერდება იმ დროით, რა დროსაც გასატანა ასეთმა გარემოებებმა თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება.
7.8. მხარე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობიდან, თუ კი ფორს-მაჟორული მოვლენის დადგომა გამოწვეულია მისი ბრალით.

8. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

8.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.
8.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველი“ ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

9. სადავო საკითხების გადაწყვეტა

9.1. „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
9.2. თუ „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

10. ხელშეკრულების კონტროლი

10.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს კოორდინატორი, სოციალური მომსახურების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი - ლევან ჩერქეზიშვილი.
10.2. კოორდინატორის ფუნქციებია:
10.2.1. მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება.
10.2.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება და „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმება.

11. ხელშეკრულების ენა

11.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1.ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების 6.3 პუნქტის გათვალისწინებით.
12.2. მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად მოშალონ ეს ხელშეკრულება, თუ მეორე მხარე სისტემატურად (არაერთხელ) არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს.
12.3. ხელშეკრულების 12.1. და 12.2. პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აღნიშნულის თაობაზე აცნობოს წერილობით, სულ მცირე 1 (ერთი) თვით ადრე.
12.4. წერილობითი შეტყობინება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან ხელშეკრულების შეწყვეტამდე.
12.5. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:
12.5.1. ურთიერთვალდებულებების შესრულებით.
12.5.2. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
12.6. გარდა ზემოაღნიშნულისა, „შემსყიდველს“ უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ მისი ხელმოწერიდან ამოქმედებამდე, მიიღებს იმაზე უკეთეს შემოთავაზებას (მომსახურების ფასისა და ხარისხის კუთხით), ვიდრე ეს განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართით N1. ასეთ შემთხვევაში, „მიმწოდებელი“ კისრულობს უპირობო ვალდებულებას, არ წაუყენოს შემსყიდველს რაიმე სახის პრეტენზიები.

13. დასკვნითი დებულებები

13.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.
13.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.
13.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.
13.4. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის, ხელშეკრულების პირობების დარღვევის შესახებ და ა.შ., თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.
13.5. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

13.6. ხელშეკრულების რომელიმე ნორმის (მუხლი, პუნქტი) ბათილად ან გაუქმებულად გამოცხადება არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას ან გაუქმებას. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების რომელიმე ნორმის (მუხლის, პუნქტის) ბათილობის/გაუქმების საფუძველია საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილება, რაც ამოქმედდა წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, მხარეები ვთანხმდებით, რომ ამ შემთხვევაში არ არის სავალდებულო ხელშეკრულებაში კორექტირების შეტანა შეთანხმებით, ხოლო ბათილად/გაუქმებულად გამოცხადებული ხელშეკრულების ნორმის (მუხლის, პუნქტის) ნაცვლად მხარეები იხელმძღვანელებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

13.7. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მხარეთა შორის ინფორმაციის გაცვლა, შეტყობინების გაგზავნა და ა. შ. შესაძლებელია განხორციელდეს როგორც წერილის გაგზავნით, ისე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

13.8. ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის უქმე ან დასვენების დღეებზე დამთხვევის შემთხვევაში, შესაბამისი პირობა უნდა შესრულდეს არა უგვიანეს დადგენილი ვადის მომდევნო სამუშაო დღეს.

13.9. წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. წინამდებარე ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

13.10. წინამდებარე ხელშეკრულების დანართები: N1, N2 და N3 წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მასთან ერთობლიობაში.

13.11. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 8 (რვა) ფურცლად, 3 (სამი) ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ხელშეკრულების ორი ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან“, ხოლო ერთი ეგზემპლარი - „მიმწოდებელთან“.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

„მიმწოდებელი”	„შემსყიდველი“
შპს „მიკრონეტ“	**სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო**
იურ.მისამართი: ქ.თბილისი, თელავის ქუჩა 20გ ფაქტ.მისამართი: ქ.თბილისი, ცოტნე დადიანის 265-267, სართული 1, ოფისი #1 ს/კ: 204557960 ა/ა GE79VT1100000000093607 სს „ვითიბი ბანკი“ ბ/კ UGEBGE22	ქ. თბილისი, აკ.წერეთლის გამზირი N144 საიდენტიფიკაციო კოდი N202178927
დირექტორი	დირექტორის მოადგილე
_____	_____
გიორგი ციკოლია	ლევან გოგოძე

LEPL SOCIAL SERVICE AGENCY 2019.12.31 12:28:58 +04'00'

Micronet LLC

Digitally signed by Micronet LLC
Date: 2019.12.31 13:36:20 +04'00'

ტექნიკური პირობები

ცენტრალურ აპარატში (წერეთლის გამზ. N 144; ჯავახიშვილის ქ. N51; ასათიანის ქ. N9), თბილისის სერვის ცენტრებში (5 ერთეული) და სამხარეო ცენტრში (10 ერთეული) ქსელი მოწოდება უნდა ხდებოდეს ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის გამოყენებით ან მომსახურება უნდა განახორციელოს სხვა შესაძლო საშუალებებით.

მომწოდებელს უნდა გააჩნდეს საშუალება შემსყიდველს მიაწოდოს პროგრამა და/ან ვებ გვერდის მისამართი და/ან აპლიკაცია, რომლის საშუალებითაც შემსყიდველი გააკონტროლებს ქსელის მუშაობის ხარისხს (გათიშვა/ჩართვას, ქსელის სიჩქარეს მოცემულ მომენტში, ქსელის ხარვეზს და ა.შ.). იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველის მხრიდან ქსელის მუშაობის პროგრამული უზრუნველყოფა მოითხოვს სწავლებას და/ან ტრენინგს, აღნიშნული მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს უფასოდ (უსასყიდლოდ).

იმ შემთხვევაში, თუ სააგენტოს რომელიმე ოფისს არ მიეწოდება ინტერნეტი, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის შეტყობინებიდან (რომელიც შესაძლებელია გაგაზავნილი იქნეს ელექტრონული ფოსტის, SMS, Viber და/ან skype და/ან whatsapp შეტყობილების და ა.შ. სახით), 3 (სამი) საათის განმავლობაში აღმოფხვრას აღნიშნული პრობლემა. თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს დაზიანების აღმოფხვრას 3 საათის განმავლობაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლო, რომელიც განისაზღვრება დაზიანებული წერტილის ღირებულების 0.2% ყოველ გადაცილებულ 1 საათზე. დროის ათვლა დაიწყება სააგენტოს მიერ მიმწოდებლისთვის ზემოაღნიშნული შეტყობინების გაგზავნის მომენტიდან (საათი, წუთი).

მომწოდებელი ვალდებულია ყოველი კვირის ბოლო სამუშაო დღის 17:30 მდე წარუდგინოს შემსყიდველს 1 კვირის ანგარიში („რეპორტი“). ანგარიში უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

1. როდის იყო ქსელის მიწოდება გათიშული;
2. რამდენი ხანი იყო ქსელი გათიშული;
3. რა მიზეზით იყო ქსელი გათიშული;
4. რა საშუალებებით მოხდა ქსელის აღდგენა;
5. რომელი წერტილი ან/და წერტილები იყო გათიშული;
6. იგეგმება თუ არა რაიმე სახის ტექნიკური სამუშაო მომდევნო პერიოდში, რაც ხელს შეუშლის სააგენტოსთვის ქსელის მიწოდებას.

მომწოდებელმა უნდა გამოყოს მინიმუმ ერთი თანამშრომელი, რომელთან დაკავშირება შესაძლებელი იქნება: მობილური ტელეფონით, ფიქსირებული ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით, ტექსტური შეტყობინებით (მაგ: SMS, Viber, skype, whatsapp. და ა.შ.) თანამშრომელი უნდა ერკვეოდეს როგორც ტექნიკურ საკითხებში ასევე უნდა იცნობდეს ხელშეკრულების პირობებს.

მომწოდებელმა ფასში უნდა გაითვალისწინოს 40 მბ/წ სარეზერვო სიჩქარე, რომლის გამოყენება შესაძლებელი იქნება სხვადასხვა ლოკაციაზე, სააგენტოს მიერ მოთხოვნილ შემთხვევაში.

იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველის მიერ რომელიმე მისამართზე გაუქმდება ოფისი, მიმწოდებელი კისრულობს უპირობო ვალდებულებას, დაეთანხმოს აღნიშნულს და არ წაუყენოს შემსყიდველს ფინანსური ან/და რაიმე სხვა ხასიათის პრეტენზია.

იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველის მიერ განხორციელდება რომელიმე ოფისის მისამართის ცვლილება, მიმწოდებელი კისრულობს უპირობო ვალდებულებას, უფასოდ (უსასყიდლოდ) განახორციელოს ძველ მისამართზე სერვისის მიწოდების გაუქმება და ახალ მისამართზე იგივე პარამეტრებით სერვისის ჩართვა.

შემსყიდველის მიერ ოფისის დამატების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია უსასყიდლოდ დაამონტაჟოს ქსელში ჩართვისთვის საჭირო აპარატურა, შემსყიდველის მიერ მითითებულ მისამართზე და წინასწარ შეთანხმებულ ვადებში.

ფასების ცხრილი

1	2	3	4	5	6	8	
N	**რეგიონი**	**რაიონი**	**მისამართი**	**შეერთების სავარაუდო სიჩქარე**	**ტექნიკური მახასიათებლები***	**ერთი თვის მომსახურების ღირებულება**	**მომსახურების ღირებულება 2020 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 15 იანვრის ჩათვლით**
1	**თბილისი**	**თბილისი ცენტრალური აპარატი**	**წერეთლის 144**	**1000 მბ/წ ლოკალი 80 მბ/წ გლობალი**	ოპტიკურ-ბოჭკოვანი	6180	3090
2	თბილისი	თბილისი ცენტრალური	ჯავახიშვილის 51	40 მბ/წ	ოპტიკურ-ბოჭკოვანი	132	66
3	თბილისი	თბილისი ცენტრალური	ასათიანის 9	40 მბ/წ	ოპტიკურ-ბოჭკოვანი	132	66
4	თბილისი	თბილისის სერვის ცენტრი	კოსტავას 47/57	20 მბ/წ	ოპტიკურ-ბოჭკოვანი	66	33
5	თბილისი	თბილისის სერვის ცენტრი	აღმაშენებლის 140 ა	20 მბ/წ	ოპტიკურ-ბოჭკოვანი	66	33
6	თბილისი	თბილისის სერვის ცენტრი	მოსკოვის 25	20 მბ/წ	ოპტიკურ-ბოჭკოვანი	66	33
7	თბილისი	თბილისის სერვის ცენტრი	სარაჯიშვილის 1	20 მბ/წ	ოპტიკურ-ბოჭკოვანი	66	33
8	თბილისი	თბილისის სერვის ცენტრი	მიცკევიჩის 23	20 მბ/წ	ოპტიკურ-ბოჭკოვანი	66	33
9	**სამეგრელო–ზემო სვანეთი**	**ზუგდიდი სამხარეო ცენტრი**	**აღმაშენებლის 106**	**20 მბ/წ**	ოპტიკურ-ბოჭკოვანი	66	33
10	სამეგრელო–ზემო სვანეთი	აბაშა	უჩა კაჭარავას 2	10 მბ/წ	რადიო სარელეო	33	16.5
11	სამეგრელო–ზემო სვანეთი	მარტვილი	თავისუფლების 10	10 მბ/წ	რადიო სარელეო	33	16.5
12	სამეგრელო–ზემო სვანეთი	მესტია	აღმაშენებლის 17	10 მბ/წ	რადიო სარელეო	33	16.5
13	სამეგრელო–ზემო სვანეთი	სენაკი	რუსთაველის 229	10 მბ/წ	რადიო სარელეო	33	16.5
14	სამეგრელო–ზემო სვანეთი	ფოთი	26 მაისის 7	10 მბ/წ	რადიო სარელეო	33	16.5
15	სამეგრელო–ზემო სვანეთი	ჩხოროწყუ	გობეჩიას 3	10 მბ/წ	რადიო სარელეო	33	16.5
16	სამეგრელო–ზემო სვანეთი	წალენჯიხა	თამარ მეფის 3	10 მბ/წ	რადიო სარელეო	33	16.5
17	სამეგრელო–ზემო სვანეთი	ხობის	ც. დადიანის 212	10 მბ/წ	რადიო სარელეო	33	16.5
18	**ქვემო ქართლი**	**რუსთავი სამხარეო ცენტრი**	**ცურტაველის ქ. 5ა**	**20 მბ/წ**	ოპტიკურ-ბოჭკოვანი	66	33
19	ქვემო ქართლი	გარდაბანი	ლესელიძის 1ა	10 მბ/წ	რადიო სარელეო	33	16.5
20	ქვემო ქართლი	მარნეული	რუსთაველის ქ. № 69ა	10 მბ/წ	რადიო სარელეო	33	16.5
21	ქვემო ქართლი	ბოლნისი	გორგასალის ქ. 15	10 მბ/წ	რადიო სარელეო	33	16.5
22	ქვემო ქართლი	დმანისი	წმინდა ნინოს ქ. 41	10 მბ/წ	რადიო სარელეო	33	16.5
23	ქვემო ქართლი	წალკა	რუსთაველის ქ. № 66	10 მბ/წ	რადიო სარელეო	33	16.5
24	ქვემო ქართლი	თეთრიწყარო	რუსთაველის ქ. № 9	10 მბ/წ	რადიო სარელეო	33	16.5
25	**აჭარა**	**ბათუმი სამხარეო ცენტრი**	**ქ. ბათუმი, ტაბიძის 2ა**	**20 მბ/წ**	ოპტიკურ-ბოჭკოვანი	66	33
26	აჭარა	ქობულეთის	ქ. ქობულეთი, თავისუფლების N13	10 მბ/წ	რადიო სარელეო	33	16.5
27	აჭარა	ხელვაჩაურის	ხელვაჩაური, დიდაჭარის 23	10 მბ/წ	რადიო სარელეო	33	16.5
28	აჭარა	ქედა	დაბა ქედა, მ. კოსტავას N1	10 მბ/წ	რადიო სარელეო	33	16.5
29	აჭარა	შუახევი	დაბა. შუახევი, რუსთაველის ქ. №25;	10 მბ/წ	რადიო სარელეო	33	16.5
30	აჭარა	ხულოს	დაბა ხულო, ტბ. აბუსერიძის ქ. N5;	10 მბ/წ	რადიო სარელეო	33	16.5
31	**გურია**	**ოზურგეთი სამხარეო ცენტრი**	**გოგებაშვილის N2**	**20 მბ/წ**	ოპტიკურ-ბოჭკოვანი	66	33
32	გურია	ჩოხატაური	დუმბაძის N19	10 მბ/წ	რადიო სარელეო	33	16.5
33	გურია	ლანჩხუთი	ჟორდანიას N76	10 მბ/წ	რადიო სარელეო	33	16.5
34	გურია	ოზურგეთი (საყოველთაო)	ვ.დოლიძის N7	10 მბ/წ	რადიო სარელეო	33	16.5
35	**მცხეთა–მთიანეთი**	**მცხეთა სამხარეო ცენტრი**	**მცხეთა, სამხედროს 13**	**20 მბ/წ**	ოპტიკურ-ბოჭკოვანი	66	33
36	მცხეთა–მთიანეთი	მცხეთა	მცხეთა, მირიანის 35	10 მბ/წ	რადიო სარელეო	33	16.5
37	მცხეთა–მთიანეთი	დუშეთი	დუშეთი, კოსტავას 31	10 მბ/წ	რადიო სარელეო	33	16.5

38	მცხეთა–მთიანეთი	თიანეთი	დ. თიანეთი, 9 აპრილის N2	10 მბ/წ	რადიო სარელეო	33	16.5
39	მცხეთა–მთიანეთი	ახალგორი	წეროვნის დევნილთა დასახლება, რიგი	10 მბ/წ	რადიო სარელეო	33	16.5
40	მცხეთა–მთიანეთი	ყაზბეგი	დ. სტეფანწმინდა, აღმაშენებლის N9	10 მბ/წ	რადიო სარელეო	33	16.5
41	**რაჭა–ლეჩხუმი**	**ამბროლაური სამხარეო ცენტრი**	**ქ. ამბროლაური. ბრატისლავა–რაჭის ქ.**	**20 მბ/წ**	ოპტიკურ-ბოჭკოვანი	66	33
42	რაჭა–ლეჩხუმი	ლენტეხი	დ. ლენტეხი . თამარ მეფის ქ. # 31	10 მბ/წ	რადიო სარელეო	33	16.5
43	რაჭა–ლეჩხუმი	ცაგერი	ქ ცაგერი . რუსთაველის ქ. #59	10 მბ/წ	რადიო სარელეო	33	16.5
44	რაჭა–ლეჩხუმი	ონი	ქ.ონი. ვახტანგ მე–6–ის ქ. #10	10 მბ/წ	რადიო სარელეო	33	16.5
45	**კახეთი**	**თელავი სამხარეო ცენტრი**	**აღმაშენებლის #41**	**20 მბ/წ**	ოპტიკურ-ბოჭკოვანი	66	33
46	კახეთი	დედოფლისწყარო	კოსტავას #44	10 მბ/წ	რადიო სარელეო	33	16.5
47	კახეთი	სიღნაღი	ევდოშვილის #21	10 მბ/წ	რადიო სარელეო	33	16.5
48	კახეთი	ყვარელი	ჭავჭავაძის #71	10 მბ/წ	რადიო სარელეო	33	16.5
49	კახეთი	ლაგოდეხი	თავისუფლების #11	10 მბ/წ	რადიო სარელეო	33	16.5
50	კახეთი	გურჯაანი	ნონეშვილის #17	10 მბ/წ	რადიო სარელეო	33	16.5
51	კახეთი	ახმეტა	ჩოლოყაშვილის #49	10 მბ/წ	რადიო სარელეო	33	16.5
52	კახეთი	საგარეჯო	აღმაშენებლის #15	10 მბ/წ	რადიო სარელეო	33	16.5
53	**შიდა ქართლი**	**გორი სამხარეო ცენტრი**	**გელდიაშვილის 3**	**20 მბ/წ**	ოპტიკურ-ბოჭკოვანი	66	33
54	შიდა ქართლი	გორი, საყოველთაო ჯანდაცვა	სტალინის 48	10 მბ/წ	რადიო სარელეო	33	16.5
55	შიდა ქართლი	გორი	სამების ქუჩა N1	10 მბ/წ	რადიო სარელეო	33	16.5
56	შიდა ქართლი	კასპი	კოსტავას 69	10 მბ/წ	რადიო სარელეო	33	16.5
57	შიდა ქართლი	ქარელი	სტალინის #24 1 სართ.	10 მბ/წ	რადიო სარელეო	33	16.5
58	შიდა ქართლი	ხაშური	ტაბიძის #2 1სართ	10 მბ/წ	რადიო სარელეო	33	16.5
59	**იმერეთი**	**ქუთაისი სამხარეო ცენტრი**	**ჩეჩელაშვილის 26**	**20 მბ/წ**	ოპტიკურ-ბოჭკოვანი	66	33
60	იმერეთი	ქუთაისი	ქ. ქუთაისი აბაშიძის N27	10 მბ/წ	რადიო სარელეო	33	16.5
61	იმერეთი	ბაღდათი	წერეთლის 9	10 მბ/წ	რადიო სარელეო	33	16.5
62	იმერეთი	ვანი	თავისუფლების 65	10 მბ/წ	რადიო სარელეო	33	16.5
63	იმერეთი	სამტრედია	რესპუბლიკის 6	10 მბ/წ	რადიო სარელეო	33	16.5
64	იმერეთი	წყალტუბო	რუსთაველის 25	10 მბ/წ	რადიო სარელეო	33	16.5
65	იმერეთი	ხონი	კაკაბაძის 17	10 მბ/წ	რადიო სარელეო	33	16.5
66	იმერეთი	ზესტაფონი	რობაქიძის 6	10 მბ/წ	რადიო სარელეო	33	16.5
67	იმერეთი	თერჯოლა	რუსთაველის 100	10 მბ/წ	რადიო სარელეო	33	16.5
68	იმერეთი	ტყიბული	კარლო ლომაძის 1	10 მბ/წ	რადიო სარელეო	33	16.5
69	იმერეთი	ხარაგაული	სოლომონ მეფის 61	10 მბ/წ	რადიო სარელეო	33	16.5
70	იმერეთი	საჩხერე	თავისუფლების 4	10 მბ/წ	რადიო სარელეო	33	16.5
71	იმერეთი	ჭიათურა	ნინოშვილის 7	10 მბ/წ	რადიო სარელეო	33	16.5
72	**სამცხე-ჯავახეთი**	**ახალციხე სამხარეო ცენტრი**	**კიცხოველის # 6**	**20 მბ/წ**	ოპტიკურ-ბოჭკოვანი	66	33
73	სამცხე-ჯავახეთი	ნინოწმინდა	ალ. პუშკინის ქ. N43	10 მბ/წ	რადიო სარელეო	33	16.5
74	სამცხე-ჯავახეთი	ახალქალაქი	მაშტოცის ქ. 64	10 მბ/წ	რადიო სარელეო	33	16.5
75	სამცხე-ჯავახეთი	ასპინძა	თამარ მეფის ქ. N3	10 მბ/წ	რადიო სარელეო	33	16.5
76	სამცხე-ჯავახეთი	ბორჯომი	მესხეთის ქ #5	10 მბ/წ	რადიო სარელეო	33	16.5
77	სამცხე-ჯავახეთი	ადიგენი	არტემ ბალახაშვილის # 10	10 მბ/წ	რადიო სარელეო	33	16.5
			ჯამი			9381	4690.5

შემსყიდველი
ლევან გოგოძე
სააგენტოს დირექტორის მოადგილე

მიმწოდებელი
გიორგი ციკოლია
დირექტორი